განკარგულება:**g-63. 63240223**
თარიღი:**22/01/2024**

ქალაქ სამტრედიაში, გეგეშიძის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (13741.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.49.014) არსებული შენობა-ნაგებობების (№1 განაშენიანების ფართი: 836 კვ.მ; №2 განაშენიანების ფართი: 12 კვ.მ; №3 განაშენიანების ფართი: 1487 კვ.მ; №4 განაშენიანების ფართი: 34 კვ.მ) პრივატიზების შესახებ განმეორებითი პირობიანი ელექტრონული აუქციონისთვის საფასურის შემცირების (საფასური მცირდება 50%-ზე მეტით) თაობაზე

ქალაქ სამტრედიაში, გეგეშიძის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (13741.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.49.014) არსებული შენობა-ნაგებობების (№1 განაშენიანების ფართი: 836 კვ.მ; №2 განაშენიანების ფართი: 12 კვ.მ; №3 განაშენიანების ფართი: 1487 კვ.მ; №4 განაშენიანების ფართი: 34 კვ.მ) პრივატიზების შესახებ გამოცხადებული ელექტრონული აუქციონების (განაცხადის №:48058EKA92435523 აუქციონის №:48058 ლოტის №:924355, დაწყება/დასრულება 07.09.2023-15.09.2023, განაცხადის №:48058EKA93762423 აუქციონის №:48058 ლოტის №:937624, დაწყება/დასრულება 01.11.2023-09.11.2023 და განაცხადის №:48058EKA94808623 აუქციონის №:48058 ლოტის №:948086, დაწყება/დასრულება 12.12.2023-20.12.2023) შედეგად არ მოხდა აღნიშნული ქონების განკარგვა.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს მე–2 მუხლის ,,ო“–ქვეპუნქტის განმეორებითი აუქციონი იმართება იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდა აუქციონის ფორმით გატანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა და ამ ქონების აუქციონზე გატანა ხდება შეცვლილი პირობებით და ფასით, ხოლო მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, თუ არ მოხდება ელექტრონული აუქციონის ფორმით გატანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა, ეს ქონება შესაძლებელია, გატანილ იქნეს საპრივატიზებოდ ელექტრონულ აუქციონზე, შეცვლილი საწყისი საპრივატიზებო საფასურით ან/და პირობებით. ასეთ შემთხვევაში, აუქციონი ჩაითვლება განმეორებით ელექტრონულ აუქციონად. განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური შეიძლება შემცირდეს 50%-მდე. თუ მუნიციპალიტეტის ქონება ამ საფასურად გამოტანის შემდეგაც არ გაიყიდა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, საფასური შეიძლება კიდევ შემცირდეს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24–ე მუხლის მე–2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს მე-13 მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად, განიხილა ქალაქ სამტრედიაში, გეგეშიძის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (13741.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.49.014) არსებული შენობა-ნაგებობების (№1 განაშენიანების ფართი: 836 კვ.მ; №2 განაშენიანების ფართი: 12 კვ.მ; №3 განაშენიანების ფართი: 1487 კვ.მ; №4 განაშენიანების ფართი: 34 კვ.მ) პრივატიზების შესახებ, განმეორებითი პირობიანი ელექტრონული აუქციონისთვის საფასურის შემცირების (საფასური მცირდება 50%-ზე მეტით) საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1.1. ქალაქ სამტრედიაში, გეგეშიძის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (13741.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.49.014) არსებული შენობა-ნაგებობები (№1 განაშენიანების ფართი: 836 კვ.მ; №2 განაშენიანების ფართი: 12 კვ.მ; №3 განაშენიანების ფართი: 1487 კვ.მ; №4 განაშენიანების ფართი: 34 კვ.მ) პრივატიზება განხორციელდეს განმეორებითი პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით.

1.2. განმეორებით პირობიან ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, გეგეშიძის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (13741.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.49.014) არსებული შენობა-ნაგებობები (№1 განაშენიანების ფართი: 836 კვ.მ; №2 განაშენიანების ფართი: 12 კვ.მ; №3 განაშენიანების ფართი: 1487 კვ.მ; №4 განაშენიანების ფართი: 34 კვ.მ) საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 10 000 (ათი ათასი) ლარი.

1.3. განმეორებით პირობიან ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, გეგეშიძის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (13741.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.49.014) არსებული შენობა-ნაგებობები (№1 განაშენიანების ფართი: 836 კვ.მ; №2 განაშენიანების ფართი: 12 კვ.მ; №3 განაშენიანების ფართი: 1487 კვ.მ; №4 განაშენიანების ფართი: 34 კვ.მ) ბიჯის ოდენობად განისაზღვროს 2 000 (ორი ათასი) ლარი.

1.4. განმეორებით პირობიან ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, გეგეშიძის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (13741.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.49.014) არსებული შენობა-ნაგებობები (№1 განაშენიანების ფართი: 836 კვ.მ; №2 განაშენიანების ფართი: 12 კვ.მ; №3 განაშენიანების ფართი: 1487 კვ.მ; №4 განაშენიანების ფართი: 34 კვ.მ) საგარანტიო თანხის ოდენობად განისაზღვროს 3 000 (სამი ათასი) ლარი.

1.5. პირობად განისაზღვროს, რომ:

1.5.1. შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანა უნდა განახორციელოს აუქციონში გამარჯვებულმა პირმა.

1.5.2. შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანის ხარჯები გაწეულ უნდა იქნეს აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ.

1.5.3. შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანის ვადად განისაზღვროს 90 (ოთხმოცდაათი) დღე. აღნიშნული 90 (ოთხმოცდაათი) დღიანი ვადა აითვალოს აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონის შედეგად განსაზღვრული ღირებულების სრულად გადახდის დღიდან.

1.5.4. პირობიან ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი